2-1771/22
16-02-2022

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ
საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს

ბატონ ანრი ოხანაშვილს

საქართველოს პარლამენტის ბიუროს NN 91/1; 08.11.2021 და 116/3; 31.01.2022 გადაწყვეტილებებით, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს სავალდებულოდ განსახილველად გადმოეცა:

- საქართველოს პარლამენტის წევრების: სალომე სამადაშვილის, ბადრი ჯაფარიძის, დავით უსუფაშვილის, შალვა შავგულიძისა და ანა ნაცვლიშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „ეროვნული ანტიკორუფციული სააგენტოს შესახებ“ და თანმდევი საკანონმდებლო პაკეტი (**№07-3/158; 25.01.2022** - განხილვის ვადა 2022 წლის 21 თებერვლამდე);
- საქართველოს პარლამენტის წევრების: მიხეილ სარჯველაძის, ისკო დასენის, ზაურ დარგალის, სავალან მირზოევის, გოგი მეშველიანის, ალუდა ღუდუშაურის, სოზარ სუბარის, ანტონ ობოლაშვილისა და სამველ მანუკიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებთან შეუსაბამო გვარის შეცვლის უფლების შესახებ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (**№07-3/114; 02.11.2021** - განხილვის ვადა 2022 წლის 22 თებერვლამდე).

ობიექტურ მიზეზთა გამო, კომიტეტი ვერ ახერხებს ჩამოთვლილი საკითხების ზემოთ მითითებულ ვადებში განხილვას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ უზრუნველყოთ დასახელებული საკანონმდებლო ინიციატივების განხილვის ვადების გაგრძელება **30 დღით**.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
მიხეილ სარჯველაძე